ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 372

8 ნოემბერი
"___" _____ 2019 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, განსაზღვრული მოძრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის, 118[1] მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებისა და მე-7 მუხლის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას განახორციელოს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/კ: 204395537) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 30 ოქტომბრის №19.1153.1442 განკარგულების დანართით გათვალისწინებული მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, განსაზღვრული მოძრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის შესახებ" სიმბოლურ ფასად, 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 30 ოქტომბრის №19.1153.1442 განკარგულების დანართით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

დანართი

ხელშეკრულება

მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ

ქ. თბილისი -------- წ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 118[1] მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის ---- წლის -- ------ №------- განკარგულების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ---- წლის ---- №---- განკარგულების საფუძველზე ჩვენ, ერთის მხრივ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო (შემდგომში „გამყიდველად“ წოდებული; მისამართი: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) წარმოდგენილი --------- მიერ - პ/ნ №---------- და მეორეს მხრივ, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია (ს/ნ: 204395537) (შემდგომში „მყიდველად“ წოდებული; მისამართი: ქალაქი თბილისი, მეფე ერეკლე II მოედანი №1) წარმოდგენილი ---------- მიერ - პ/ნ №---------- სახით, ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

ამ ხელშეკრულებით, გამყიდველი მყიდველს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის ----- წლის --- ----- №-------- განკარგულებით განსაზღვრული საპრივატიზებო პირობით, საკუთრებაში გადასცემს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ დანართით გათვალისწინებულ მოძრავ ქონებას.

მუხლი 2. ნასყიდობის საფასური და მისი გადახდის წესი

2.1. ამ ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული მოძრავი ქონება გაიყიდა სიმბოლურ ფასად – 1 (ერთი) ლარად (საპრივატიზებო საფასური);

2.2. მყიდველის მიერ 2.1 პუნქტით გათვალისწინებული თანხის გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით:

მიმღები: სახელმწიფო ხაზინა TRESGE22
ანგარიშის ნომერი: 200122900
სახაზინო კოდი: 300773380
დანიშნულება: სხვა არაკლასიფიცირებული მატერიალური მარაგების გაყიდვა

მუხლი 3. საპრივატიზებო პირობები

3.1. მე-2 მუხლი 2.1 პუნქტით გათვალისწინებული საპრივატიზებო საფასურის გადახდა განხორციელდეს ამ ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

3.2. მყიდველმა საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს „MERCEDES-BENZ 0345” მარკის ავტობუსის (სახელმწიფო ნომერი: KK156WW) შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაცია, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემიდან 1 (ერთი) თვის ვადაში;

3.3. მყიდველმა საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირველი მუხლით განსაზღვრული მოძრავი ქონების შესაბამისი ტერიტორიიდან გატანა საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

მუხლი 4. პირგასამტეხლო

4.1. საპრივატიზებო საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში მყიდველს ეკისრება პირგასამტეხლო (საურავი) გადაუხდელი თანხის 0,1% დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, მაგრამ არანაკლებ 5 ლარისა;

4.2. პირგასამტეხლოს გადახდა უნდა განხორციელდეს შემდეგ ანგარიშზე ჩარიცხვით:

მიმღები სახელმწიფო ხაზინა: TRESGE22

ანგარიშის ნომერი: 200122900

სახაზინო კოდი: 300773287

(შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან).

4.3 ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მყიდველი იღებს წერილობით გაფრთხილებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და ეკისრება პირგასამტეხლო 50 ლარის ოდენობით, დარღვევის გამოსწორებისთვის მიცემული ვადის უშედეგოდ გასვლის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

4.4. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდა, „მყიდველს“ არ ათავისუფლებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

4.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების განმეორებით შეუსრულებლობა და დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობა სააგენტოს მიერ განიხილება ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის საფუძვლად.

მუხლი 5. საკუთრების უფლების გადაცემა

ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოძრავი ქონება მყიდველს საკუთრებაში გადაეცემა საპრივატიზებო საფასურის მთლიანად გადახდის, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის შემდეგ.

მუხლი 6. მხარეთა განცხადებები და ვალდებულებები

6.1. მხარეებმა განაცხადეს, რომ ამ ხელშეკრულების პირველი მუხლით განსაზღვრული მოძრავი ქონების ხარისხი შეთანხმებულია მხარეთა შორის. მყიდველმა მოიწონა მოძრავი ქონების ხარისხი.

6.2. გამყიდველი იღებს ვალდებულებას: ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული საპრივატიზებო საფასურის სრულად გადახდის დადასტურების შემდგომ, ნასყიდობის საგანზე მყიდველს დაუდასტუროს საკუთრების უფლება, შესაბამისი საკუთრების მოწმობის გაცემის გზით.

6.3. მყიდველი ვალდებულია:

6.3.1. პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებული ქონების შემდგომი გამოყენებისას დაიცვას ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და საპრივატიზებო პირობები.

6.3.2. ვალდებულებების შესრულების პერიოდში გამყიდველის მოთხოვნის საფუძველზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფორმითა და წესით წარუდგინოს ინფორმაცია პირობებისა და ვალდებულებების შესრულების თაობაზე.

6.3.3. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში (ვალდებულებათა შესრულების პერიოდში) მყიდველის მიერ პრივატიზებული ქონების გასხვისების შემთხვევაში, მყიდველი ვალდებულია ქონება ახალ მესაკუთრეზე გაასხვისოს იმავე პირობებით, რაც გათვალისწინებული იყო ნასყიდობის ხელშეკრულებით.
6.3.4. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შესრულებულად ითვლება გამყიდველის მიერ მათი დადასტურების მომენტიდან.
6.4. საჭიროების შემთხვევაში, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შესრულებულად ითვლება გამყიდველის მიერ მათი დადასტურების მომენტიდან.

მუხლი 7. სხვა პირობები

7.1 ამ ხელშეკრულების თითოეული გვერდი საჭიროებს მხარეთა ხელმოწერას.
7.2. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება ან დამატება შეიძლება მხარეთა შეთანხმებით, ცალკე ხელშეკრულების გაფორმებით.
7.3. ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, რომლის თითო ეგზემპლარი გადაეცემა მხარეებს.
7.4. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან.
7.5. მხარეთა შორის დავის არსებობის შემთხვევაში, საკითხი განიხილება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გამყიდველი - საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო

მყიდველი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია

დანართი

არტიკული	დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება (ლარი)	სულ ღირებულება (ლარი)
021979	2016/06 ავტობუსი - BENZ 0345, ,,MERCEDES-BENZ 0345" მარკის ავტობუსი, სახელმწიფო ნომრით KK156WW	ცალი	1	35,000.00	35,000.00
343/3096	მერსედეს 0345 უკანა მორგვის გარე ჩობალი	ცალი	4	35.40	141.60
343/3095	მერსედეს 0345 წინა მორგვის ჩობალი	ცალი	4	6.90	27.60
343/3035	მერსედესი ამაჩქარებელი პედალის პოტენციომეტრი	ცალი	1	1,400.00	1,400.00
343/3052	მერსედესის სამგზავრო ქარსაფარი დამცავი ფანჯარა	ცალი	1	150.00	150.00
147/0081	მერსედესის 12 მმ ალუმინის ფენა	ცალი	8	0.90	7.20
147/0080	მერსედესის 14 მმ ალუმინის ფენა	ცალი	8	0.90	7.20
429/0128	მერსედესის 14 მმ დიზელის ფილტრი	ცალი	2	20.00	40.00
429/0130	მერსედესის 14 მმ მაღალი წნევის დიზელის ფილტრი	ცალი	1	30.00	30.00
343/3044	მერსედესის 4-გზის სარქველი	ცალი	2	220.00	440.00
343/3029	მერსედესის ABS სენსორი, მარცხენა	ცალი	1	450.00	450.00
343/3047	მერსედესის გამონაბოლქვის ზამბარა	ცალი	1	20.00	20.00
343/3053	მერსედესის გვერდითი მოხვევის ფანჯარა (მარჯვენა-მარცხენა)	ცალი	2	105.00	210.00
421/0449	მერსედესის დახრილი სარქველი	ცალი	2	180.00	360.00
343/3002	მერსედესის ზეთის წნევის სენსორი (34/04)	ცალი	1	55.00	55.00
343/3070	მერსედესის კარის ცილინდრი	ცალი	1	520.00	520.00
343/3004	მერსედესის კარტერში ჩასაშვები ჭანჭიკი	ცალი	2	25.00	50.00
343/3008	მერსედესის კომპრესორის თავი ჩობალით	ცალი	1	100.00	100.00
343/3043	მერსედესის კომპრესორის ჰაერის ზამბარა	ცალი	2	60.00	120.00
343/3060	მერსედესის კუთხის შლანგი	ცალი	4	26.00	104.00
343/3039	მერსედესის ლილვის ხრახნი	ცალი	1	7.00	7.00
343/3028	მერსედესის მუხრუჭის გამაძლიერებელი უკანა	ცალი	1	320.00	320.00
343/3026	მერსედესის მუხრუჭის უსაფრთხოების დამჭერი უკანა	ცალი	5	20.00	100.00
343/3025	მერსედესის მუხრუჭის უსაფრთხოების დამჭერი წინა	ცალი	5	20.00	100.00
343/3007	მერსედესის რეცირკულაციის ჩობალი	ცალი	8	8.00	64.00
343/3038	მერსედესის საბურავის ქანჩი	ცალი	2	4.00	8.00
343/3020	მერსედესის სამუხრუჭე ხუნდის ძირითადი ჭანჭიკი	ცალი	2	18.00	36.00
343/3057	მერსედესის სასიგნალო ნათურა	ცალი	1	28.00	28.00
343/3056	მერსედესის საქარე მინის საწმენდი ჩოთქი	ცალი	2	25.00	50.00
343/3046	მერსედესის საწვავის ზამბარა	ცალი	2	25.00	50.00
343/3006	მერსედესის საწვავის ტუმბო	ცალი	2	7.00	14.00
429/0131	მერსედესის საწვავის ფილტრი	ცალი	1	17.90	17.90
343/3058	მერსედესის საწინააღმდეგო ნათურა	ცალი	1	28.00	28.00

არტიკული	დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება (ლარი)	სულ ღირებულება (ლარი)
343/3045	მერსედესის საჭის წევის ამორტიზატორი	ცალი	1	220.00	220.00
343/3018	მერსედესის საჭის წევის ბარბაცის თავი , მარჯვენა	ცალი	2	50.00	100.00
343/3019	მერსედესის საჭის წევის ბარბაცის თავი, მარცხენა	ცალი	1	50.00	50.00
343/3066	მერსედესის სახურავის შუასადები	ცალი	2	7.00	14.00
343/3003	მერსედესის სითბოს სენსორი	ცალი	1	55.00	55.00
343/3010	მერსედესის ტაქომეტრის სენსორი (EDC სენსორი)	ცალი	1	270.00	270.00
343/3050	მერსედესის ტურბო შემშვები შლანგი	ცალი	2	160.00	320.00
343/3027	მერსედესის უკანა დოლური მუხრუჭი	ცალი	2	335.00	670.00
343/3023	მერსედესის უკანა თვლის მორგვის საკისარი	ცალი	1	90.00	90.00
343/3022	მერსედესის უკანა თვლის მორგვის სარჭი	ცალი	5	12.00	60.00
343/3041	მერსედესის უკანა მუხრუჭის ზამბარა	ცალი	1	70.00	70.00
343/3042	მერსედესის უკანა მუხრუჭის ზამბარა	ცალი	1	180.00	180.00
343/3037	მერსედესის ქვედა რეზინა	ცალი	3	55.00	165.00
343/3009	მერსედესის შემშვები მრავალფეროვანი ჩობალი	ცალი	8	10.00	80.00
343/3040	მერსედესის შესაშხაპი მილების ნაკრები	ცალი	2	3.00	6.00
343/3054	მერსედესის შუშა ARM მარცხენა	ცალი	1	90.00	90.00
343/3055	მერსედესის შუშა ARM მარჯვენა	ცალი	1	90.00	90.00
343/3031	მერსედესის ძრავის კრონშტეინის რეზიანი ზამბარა	ცალი	1	120.00	120.00
343/3033	მერსედესის ძრავის კრონშტეინის რეზინა მარცხენა	ცალი	1	240.00	240.00
343/3034	მერსედესის ძრავის კრონშტეინის რეზინა მარჯვენა	ცალი	1	240.00	240.00
343/3032	მერსედესის ძრავის რეზინის ამორტიზატორი	ცალი	2	70.00	140.00
343/3017	მერსედესის წინა დოლური მუხრუჭი	ცალი	2	280.00	560.00
343/3067	მერსედესის წინა თვლის მორგვის სარჭი	ცალი	1	15.00	15.00
343/3024	მერსედესის ხუნდები უკანა	ცალი	2	210.00	420.00
343/3015	მერსედის შესაშხაპი მილების ნაკრები	ცალი	1	500.00	500.00
343/3064	მერსედესის V- ღვედი (CATERPILLAR)	ცალი	6	60.00	360.00
343/3065	მერსედესის V- ღვედი (CATERPILLAR) 13X1485 MM.	ცალი	1	60.00	60.00
343/3063	მერსედესის V- ღვედი(CATERPILLAR) 13X1225 La	ცალი	5	60.00	300.00
343/3001	მერსედესის ვ-ქამარი (CATERPILLAR)	ცალი	5	60.00	300.00
343/3000	მერსედესის ვ-ღვედი (CATERPILLAR)	ცალი	5	60.00	300.00
343/3062	მერსედესის ზეთის ფილტრის გადაცემათა კოლოფი	ცალი	1	35.00	35.00
429/0131	მერსედესის საწვავის ფილტრი	ცალი	16	35.00	560.00
425/0022	მერსედესის ჰაერის საშრობი ფილტრი	ცალი	4	60.00	240.00
429/0124	ფილტრი ძრავის ზეთის	ცალი	5	19.00	95.00
429/0121	ფილტრი საწვავის (უხეში)	ცალი	10	20.00	200.00
429/0122	ფილტრი საწვავის (წმინდა)	ცალი	7	9.65	67.58

არტიკული	*დასახელება*	*ზომის ერთეული*	*რაოდენობა*	*ერთეულის ღირებულება (ლარი)*	*სულ ღირებულება (ლარი)*
429/0145	ფილტრი ჰაერის MERCEDES BENZ CONECTO (O 345) ავტობუსთან თავსებადი	ცალი	2	52.50	105.00
429/0123	ფილტრი ჰაერის	ცალი	2	83.12	166.25
092/0038	ზეთი (ძრავისთვის) ნახევრადსინთეტიკური, 10W40	ლიტრი	820	4.78	3,919.60
092/0039	ზეთი უკანა ხიდის რედუქტორის 75W90	ლიტრი	192	10.39	1,995.26
343/3162	ღვედი 13 X 2425	ცალი	2	140.00	280.00
343/3251	ღვედი 13 X 1200	ცალი	4	18.93	75.72
343/3250	ღვედი 12.5 X 1400	ცალი	4	16.00	64.00
	სულ				**53,943.91**